ეროვნული ბიბლიოთეკა

წ. I 1915 წ.

პარასკევი 8 მაისს

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმ[illegible] შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის [illegible] ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

სამშობლო

№ 75 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 75

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ს ა მ შ ო ბ ლ ო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:
ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“**.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ელექტრო-თეატრი „რ ა დ ი უ მ ი“
ხუთშაბათიდან, 7 მაისიდან, ახალი დიდი პროგრამა
მხოლოდ მოზრდილთათვის

რუსული სამხედრო ქრონიკა

სკობელევის კომიტეტისა სენსაცია. ძ. პატე!

მისი აღმატებულება განცხრომაში.

დიდებული კომედია ფარსი 3 ნაწილათ. გამოჩენილი კომიკ მსახიობის, **სოკოლსკის**, მონაწილეობით. კარგათ ნათამაშევი ამ სურათის სანახაობა მაყურებლებში იწვევს დაუცხრომელ სიცილ-ხარხარს. მისი აღმატებულების როლს ასრულებს **სოკოლსკი**. პროგრამის გარეშე. შურის ძიება გარიყულისა ძლიერი საყურადღებო დრამა.

დასაწყისი საღამოს 6½ საათზე.

ОБЪЯВЛЕНІЕ.

Кутаисскій отдѣлъ по квартирному довольствію войскъ

вызываетъ 15-го мая сего года въ 12 часовъ дня желающихъ принять на себя подрядъ по соревнованію изустному и посредствомъ запечатанныхъ объявленій производства постройки бараковъ для больныхъ на суммы: 1) въ гор. Кутаисѣ 20.213 руб., 2) въ мѣст. Сурамѣ 12.864 руб., 3) въ гор. Сухумѣ 1862 руб. и 4) въ гор. Поти 2512 рублей.

Для участія въ соревнованіи необходимо представить паспортъ и залогъ денежный 15% или имущественный 20%.

Подробныя условія и смѣты можно видѣть ежедневно въ отдѣлѣ въ дни занятій. 3—2

Волжско-Камскій Коммерческій Банкъ симъ объявляетъ, что съ 12 мая переходить во вновь нанятое помѣщеніе доктора Гокіелова на Алексадровской улицѣ.

„ვოლჟსკო-კამის“ კომმერციული ბანკი ამით აცხადებს, რომ 12 ამა მაისიდან ის გადადის ექიმ გოკიელოვის შენობაში, რომელიც იმყოფება ალექსანდროვსკი ქუჩაზე. 3—1

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

— კატალოგები უფასოთ — თ.

სს გოკიელოვის—შ-ბი

ქუთაისში

ამით აუწყებს მეაბრეშუმე მწარმოებლებს, რომ **გაზეთებში** გამოჩნდა ცნობები შესახებ იმისა, რომ **ზოგიერთი თესლის გამყიდველები** სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხალხში. ამისათვის გასული წლების მსგავსად წელსაც **ხ. ხრისტოდულიდის** მიუცილებელ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ თესლის მყიდველნი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, **გავაფრთხილოთ: დააკვირდით ჩვენს ფირმას**—გარეთ კოლოფს აქვს **იარლიკი ქართული წარწერით** (თეთრ ქაღალდზე) და ასვია **„შტემპელი“**, აწერია **„ს/ს. გოკიელოვის შ—ბი“**, შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის **„შტემპელი“** რუსულ-ქართული წარწერით **„ხ. ხრისტოდულიდისის“** და **ს/ს გოკიელოვის შ—ბის“**, აქვე დასმულია **ლუქით ბეჭედი**, რომლის სიმთელეს აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ **კოლოფს ირგვლივ შემოყოლებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი** აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

თესლის გაყიდვა გძელდება.

დაიბეჭდა და იყიდება **კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში)

„Н О В О Е С Л О В О“

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. **ფასი ყდით 2 აბაზი.**

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ, ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის. გოშმიტლის ქუჩა, მასუმგოვის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

კბილის ექიმები

მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.

დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

კაბინეთი მასსაჟის და საქამო ვარჯიშობისა. მასსაჟისტკა **მ. ტ. ბალანჩივაძისა** ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება, აქვს მოწყობილი **ორთქლის ვანა**, რომელიც სჭობს სახის ყოველ-გვარ ავათმყოფობას: სიწითლეს, მეჭეჭებს, ნაკეჭებს, ჭორფლს და ნაყვავილარ დასახიჩრებულ სახეს, ამასთანავე არჩენს სახის სხვა და სხვა ავათმყოფობას. **აგრეთვე ფუცრი ყვავილს.** ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 მ. მორჩენის ფასი ადგილზე გაიგება. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

ექიმი ი. ტ. მულინი გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დილით 2—3, საღ 7—8. თ.

დ. ყვირილაში.

სტუდენტი
ვარლამ ფერაძე

(9 წ. პრაქტიკით) პირველ მაისიდან **ამზადებს** მოწაფეებს, ქალებს და ვაჟებს, ყველა საგნებში დაბალ და საშუალო სასწავლებლების კლასებისათვის. აგრეთვე სიმწ. მოწმ. აფთიაქის მოწაფეებს, მასწავლებლებს, 1 კლ. ჩინზე და სხ.
მისამართი: ყვირილა, პირველ-დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლის ახლოს, დათა ყუბარაძის სახლი. 14—7—187

ომი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

პეტროგრადი. სამხედრო უწყების მიმოხილვა. 3 მაისს საღამოს ექვს საათზე ვისლის იქითა მხარეში ჩვენ დავიკავეთ რამდენიმე სოფელი. მტერმა უწესრიგოდ უკან დაიხია ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეთ 50 აფიცერი და 1000 მეტი ჯარისკაცი. გალიციაში, მდ. სანის რაიონში, მტრის იერიშები ჩვენი ადგილების წინაამდეგ გრძელდება. მტერმა ერთ ადგილზე სამი დივიზიით მოიტანა იერიში. ჩვენ იერიში მოვიგერიეთ და მტერს დიდი ზიანი მივაყენეთ. 3 მაისს მტერი მძიმე არტილერიის ცეცხლის დახმარებით შეეცადა სანთან მოახლოვებას. მაგრამ ჩვენმა არტილერიის ცეცხლმა მტერი გაფანტა. ჩვენმა რაზმმა ჩამოაგდო მტრის 4 ჰაეროპლანი. სამი მათგანი ჩვენ ბანაკში ჩამოვარდა. მეზოლაბორჩის გზით მტრის დიდ ძალებთან გაჩაღდა ბრძოლა. ზოგ ადგილას მტერი შეტევით მოდიოდა დიდის ძალებით, ჩვენ იერიშები მოვიგერიეთ, სტრიის გზით ამ დღეებში ცხარე ბრძოლა იყო. ჩვენმა რაზმებმა იერიშის მოგერიების შემდეგ, თვითონ მიიტანეს იერიში და ტყვეთ წამოიყვანეს 350 კაცი. დნესტრის რაიონში 2 მაისს არჟილიუკის რაიონში, მტერმა იერიში მოიტანა, იერიში ადვილათ მოვიგერიეთ.

პარიზი. 5. გამუდმებული წვიმის გამო ყოველი მოქმედება შეუძლებელი შეიქნა. ნისლის გამო 100 მეტრზე რამეს დანახვა შეუძლებელია. მთელ ფრონტზე არავითარი სამხედრო მოქმედება არ მომხდარა. არ ყოფილა არც არტილერიის მოქმედება.

პეტროგრადი. ოფიციალური უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან. ვარშავის რაიონში 4—5 მაისს კერძო შეტაკებები ხდებოდა, კურშანის, როსენისა და ეირაგელას ფრონტებზე. უკანასკნელის რაიონში გერმანელებს რამდენიმე სადგურ პუნქტი წაართვით. აქ ჩვენ ხელში ჩავიგდეთ ტყვიის მტყორცნელები და რამდენიმე ასი ტყვე. როსენის ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელების შეტევა მოგერიებულ იქნა მტრისთვის დიდი ზარალით. ნემანის მარცხენა ნაპირზე მხოლოდ უმნიშვნელო ბრძოლა სწარმოებს. ნარევის ფრონტზე და ლილიცის ჩრდილოეთით სიწყნარეა. ზედა ვისლის მარცხენა ნაპირზე და მთელ გალიციის ფრონტზე გრძელდება ბრძოლა, რომელიც ბევრ რაიონში მწვავე ხასიათს ღებულობს.

(შემდეგი იქნება).

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ავსტრიელების აგიტაცია ალბანიაში.

დურაცოდან „ტემპს“ ატყობინებენ, რომ ავსტრიის აგენტები დაძრწიან მთელს ალბანეთში და აგროვებენ მოხალისეებს, თითოეულ მათგანს ჯილდოთ აძლევენ 40 ფრანკს და აგრეთვე პირდებიან გამდიდრებას, როდესაც ისინი შეესევიან სერბიაში. ავსტრიიდან ალბანეთში დიდძალი თოფი შეიტანეს კონტრაბანდით ინსურგენტების რიცხვი ღლევანდლამდი 30000 კაცს უდრიდა. ესენი დაყოფილი არიან ჯგუფებათ, რომელთაც ხელმძღვანელობენ ოსმალეთისა და ავსტრიის აფიცრები. ავსტრიელების განზრახვაა, რომ ინსურგენტები შესიონ სერბიასა და ჩერნოგორიას იმ დროს, როცა ავსტრიის ჯარი გამართება სერბიისკენ ჩრდილოეთის მხრით. მიუხედავათ ამისა, სერბიაში ავსტრიელების შესევა საშიში არ არის, რადგანაც სერბიელებს ამჟამათ მდგომარეობა ხელს უწყობს ალბანელებს შეებრძოლონ. ახლახან ალბანელების უნაყოფო ცდამ, იგინი დროებით აიძულა უარი ეთქვათ გალაშქრებაზე. ალბანელები ცდილობენ დურაცო ხელში ჩაიგდონ და ამისთვის შესაფერისათაც ემზადებიან. მათი რიცხვი გაცილებით მეტია ესად-ფაშის ჯარზე, სამაგიეროთ ესად-ფაშას ყავს ძლიერი არტილერია, რომელსაც აქვს იტალიიდან მოტანილი ახალი იარაღი. ინსურგენტებმა ახლახან მოკლეს ერთერთი გუბერნა-

ტორი ეღგენზე, რომელიც ცნობილი იყო თავისი სერბოფილობით. საერთოდ მთელს ალბანიაში ანარქიაა გამეფებული. ალბანიის ბევრი მშვიდობიანი მცხოვრები სერბიისა და საბერძნეთის მთავრობებს სთხოვს ნება მისცენ მათს ტერიტორიაზე გადასვლისა.

ავსტრია და სამხრეთის სლავიანები.

როგორც „ტაიმს" გაუგია სარწმუნო წყაროებიდან, ავსტრიელების დამოკიდებულება სამხრეთ სლავიანებთან შესამჩნევათ შეიცვალა. ავსტრიის მთავრობა ყოველნაირათ ცდილობს დაუმტკიცოს მათ თავისი მეგობრობა. დაბეჯითებით ლაპარაკობენ, რომ მოკლე ხანში სამხრეთ სლავიანების პარლამენტარულ მოღვაწეებს, რომელნიც ამჟამათ ციხეში სხედან, გაათავისუფლებენო. როგორც ჩანს, ეს ცვლილება ავსტრიის მთავრობისა დაკავშირებულია სლავიანების მღელვარებასთან, რომელიც გამოწვეულია იტალიის პრეტენზიებით სამხრეთ სლავიანების ტერიტორიისადმი. ამ პრეტენზიების შესახებ ცნობებს სლავიანებში ბეჯითად ავრცელებს ავსტრიის ადმინისტრაცია.

სომხების აჯანყება.

ვანიდან იტყობინებიან, ქალაქი და ზოგი პროვინცია აჯანყებულ სომხების ხელშიაო. ამ პროვინციებში ქურთებმა ოსმალნი დიდი ზარალით უკუაქციეს და ხელთ იგდეს რამოდენიმე ზარბაზანი.

აბაგიდან ავტომობილებით ერევანში მოიყვანეს ოთხი ტყვე აფიცერი; ერთი მათგანი გერმანელია. მათი სიტყვით აჯანყებულმა სომხებმა ვანში ციხის ქვეშ ხვრელი გააკეთეს და სურდათ სამხედრო მასალების ხელში ჩაგდება. ტიმარის პროვინციის სომხებმა რამოდენიმე იალქნიანი გემი ჩაიგდეს ხელში და კუნძული ნნაპატი დაიპყრეს.

ოსმალეთის მაშველი ჯარი

ურმიიდან შეუწყვეტლივ მოდის ცნობები ოსმალთა მიერ ახალ დამხმარე ჯარების გადმოყვანის შესახებ. ამ ხანათ ოსმალნი უფრო მომზადებულნი არიან, ვიდრე აპრილის შემოტევის დროს იყვნენ. მათ თან აქვთ მრავალ რიცხოვანი, უკანასკნელი სისტემის არტილერია. გამოირკვა, რომ ოსმალეთის ჯარის ერთი ნაწილი სოუჯბულაყისაკენ წაიყვანეს, რითაც მტკიცდება ის აზრი, რომ მათ ურმიის ტბის ნაპირებით მეორეხელ შემოტევა სურთ თავრიზისაკენ.

ბულგარია და ოსმალეთი.

„ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტი იუწყება, ოსმალეთი და ბულგარია საბოლოოდ შეთანხმდენო. ამ შეთანხმებით ბულგარია ვალდებულია ოსმალეთთან ერთათ გაილაშქროს სერბიის წინააღმდეგ ფრაკიაში დაბანაკებული ოსმალთა ჯარი გოლც-ფაშის მეთაურობით ბულგარიის ჯარს შეუერთდება ამ გზით 700—800 ათასი ჯარი ხელახლა მოაწყობენ, მაკედონელ „ჩეტნიკების" აჯანყების მსგავსათ იმისა, როგორც ეს მოხდა ვილანტოვოსთან. აჯანყებას მეთაურობს ბულგარელთაგან „მაკედონიის რევოლიუციონური კომიტეტი", ხოლო ოსმალთაგან „თავდაცვის კომიტეტი" ადრიანოპოლის გუბერნატორის ხაჯი-ალილ ბეის უფროსობით.

3 აპრილს სტამბოლში მივიდა ბულგარიის რკინის გზების უფროსი მორფოვი. ის შეუთანხმდა ოსმალეთის მთავრობას რკინის გზებით სარგებლობის შესახებ მობილიზაციისა და ჯარის გადაყვანის დროს.

ტიფი ურმიაში.

ურმიაში მცხოვრებთ ტიფი მოედო; ქალაქი სავსეა ავათმყოფებით. სენის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი ენერგიას იჩენენ ამერიკელი მისიონერები. თითქმის ყველა მათგანი ავათ გახდა. ერთი მისიონერი და ექიმი უკვე გარდაიცვალა.

— —

ოსორგინი „რუსკია ვედომოსტს" რომიდან დეპეშით ატყობინებს: მინისტრ სალანდრას გადადგომამ კრიტიკული მდგომარეობა შექმნა. რადგანაც ომის მომხრენი ძლიერ აღელვებულები არიან, გაზეთებმა სასტიკი წერილები დაბეჭდეს და ემუქრებიან კვირინალს რევოლიუციით. ოსორგინი ფიქრობს, პესიმიზმისთვის არავითარი საფუძველი არ არის, რადგანაც ხალხის სურვილს ანგარიში უნდა გაუწიონ. დ.ანუციომ ბალკონიდან მიმართა ბრბოს და მოუწოდა ხალხს შეადგინონ რაზმები სამშობლოს გამყიდველებთან საბრძოლათ. ბრბო ქუჩებში გერმანელების მაღაზიების ვიტრინებს ამტვრევს; ბრბო აგრეთვე ესხმის ტრამვაის და ეძებს პალატის დეპუტატებს ყვირილით: „ძირს პალატაო".

—

„ვეჩერნეე ვრემია" სწერს: შვეიცარიის გაზეთი „ბაზელერ ნახრიხტენ"-ი იტყობინება, ვითომც პორტუგალიის მთავრობას მიეყიდოს საფრანგეთისთვის მთელი თავისი საველე არტილერია, რომლითაც ამჟამათ მარჯვეთ მოქმედებენ ფრანგები გერმანელების წინააღმდეგ მდ. ენის ფრონტზე.

რუმინიაში.

კონსერვატიულ-დემოკრატიული პარტიის კრიზისი გრძელდება, პარტია ორ ფრაქციათ გაიყო. პირველის მეთაურათ ფილიპე სეუ არის, მეორის კი—მარგილომანი. პირველი ფრაქცია სამთა შეთანხმების მომხრეა, მეორე—ავსტრიისა და გერმანიის. რუმინიის საზოგადოება მოუთმენლათ ელის ამ კრიზისის შედეგს.

საბერძნეთში.

ათინიდან ცნობაა,—საბერძნეთსა და სამთა შეთანხმების სახელმწიფოების მთავრობებთან მოლაპარაკებამ მიზანს ვერ მიაღწია, რადგანაც საბერძნეთის ტერიტორიის სრული ხელშეუხებლობის გარანტია სამთა შეთანხმებამ ვერ იკისრაო. მოლაპარაკება უარჰყვეს.

იტალიის გადაწყვეტილება.

დოკტორი დილონი რომიდან „დეილ ტელეგრაფს" დეპეშით ატყობინებს:

„წინათ დეპეშით გაცნობეთ, რომ იტალიას საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიეღო 29 აპრილს, ნამდვილათ კი იტალიამ საბოლოო გადაწყვეტილება დღეს მიიღო და ომი შვიდ მაისს გამოცხადდებაო.

პოლიციამ და რკინის გზის სამართველომ უკვე მიიღო ინსტრუქცია ავსტრიისა და გერმანიის ელჩების დაცვისა და გამგზავრების შესახებ.

იტალიელ „ქალთა კავშირმა" გამოსცა სასტიკი პროტესტი „ლუზიტანიის" დაღუპვის გამო. ქალთა კავშირი მოითხოვს მთავრობისაგან დაუყოვნებლივ ომში ჩარევას, რათა გერმანია დაისაჯოს ამ დანაშაულისათვის".

— —

„რუსკ. ვედ." კორესპონდენტი ოსორგინი რომიდან იუწყება: ამ ჟამათ იტალიის მდგომარეობა ასეთია: ორივე მოპირდაპირემ თავისი პოზიცია გაამაგრა. ჯიოლიტის პარლამენტსა და სენატში ბევრი მომხრე ყავს. სამინისტრო ემყარება საზოგადოების თანაგრძნობასა და ნდობაზე. სამწუხაროთ პარლამენტი ხალხის სრული ნების გამომხატველათ ვერ ჩაითვლება. ბრძოლა არ დამთავრებულა.

ნეიტრალობის მომხრენი, რომელნიც ჯიოლიტის დამარცხებას დღესწაულობდენ და ზოგიერთი პესიმისტი ანგარიშს არ უწევდა ერთ გარემოებას: სახელდობ იმას, რომ სამთა შეთანხმებას ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა. მე ღრმათ მწამს, ამბობს ოსორგინი, ეს უკანასკნელი სიტყვა სამთა შეთანხმებისა ზეგავლენას იქონიებს იტალიის საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

დეპეში.

(პეტროგრადის ტელ. სააგენტოსაგან.)

პეტროგრ. 7 მაისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ოლთისის გზით ოსმალოთა ცდამ იერიში მიეტანათ სოფ. კიაგანის დაბლა სიმაღლეზე უნაყოფოთ ჩაიარა. ოსმალნი გავდენეთ სამხრეთისაკენ. ჩვენმა ჯარმა დაიკავა ქ. არჯიში ვანის ტბის ჩრდილო ნაპირზე. დანარჩენ ადგილებზე ცვლილება, არ მომხდარა.

სერბიის ფრონტი.

ნიში. 5 მაისი. ჩვენ მოვსპეთ მტრის გემი. ეს გემი გუშინ შევნიშნეთ კუნძულ კაზარასთან და ჩვენ ვესროლეთ. გემს ცხვირში მოხვდა და მაღლ აფეთქდა. გემიდან გასროლილმა ბაზალამ მტერს აცნობა, რომ გემი იღუპებოდა. მაშინ ზემლინიდგან გამოჩნდა ორი კანონერი, რომელიც ჩვენმა პროჟექტორებმა მყისვე გააშუქა. მტრის ბატარეის ბეჟანიეს მაღლობიდან მონაწილეობა არ მიუღია.

ბრძოლა შესწყდა შუაღამისას, როდესაც გემი ჩაიძირა. დაზიანდა ერთი კანონერიც. შერზვალანკასთან დავიჭირეთ მცურავი ნაღმი, რომელზედაც ეწერა: „ორშოვა."

მიეშველეთ ვენახებს.

ვაზი ამ ერთ კვირაში საცქიმო გახდება და შაბიამანი და გოგირდი კი არ გვაბადია! ვისაც კი აქვს 30 მანეთამდის მივიდა ფუთი შაბიამანის ფასი, გოგირდის კი 10—15 მანეთამდის.

მსოფლიო ომმა, შიმშილობამ და ყოველგვარმა გაჭირვებამ იქნამდის მიიყვანა ხალხი, რომ ლამის სული ამოძვრეს და ვის შეუძლია ფუთ შაბიამანში 20—30 მანეთი მისცეს!? დავენდოთ ისევ ახალ საშუალებას: კირისა და გოგირდის სითხეს. ამის შესახებ უკვე რამოდენიმე წერილი იყო სხვადასხვა ქართულ გაზეთში, მაგრამ მე მოვალეთ ვრაცხ თავს, ამ ახალ საშუალების შესახებ ორიოდე სიტყვა ვამცნო ყველას ჩემის საკუთარის გამოცდილებიდან.

გოგირდი და კირი გათქვეფილი ერთმანეთში, ვაზის საცქიმოთ ახალი საშუალება არ არის. 1903—4 წლებში ამ საშუალებას ვხმარობდით ჩვენ სოფ. დიმში ულტიების მამულ „კლო-ფლურულში" და ამ ექიმობის შესახებ ვრცელი წერილიც მოვათავსე მე მაშინდელ ქართულ გაზეთ „ცნობის ფურცელში".

ამ წამლით ვასხურებდით ვაზს ჩვენ ორჯერ: ერთი—ვაზის ყლორტები გაიზრდებოდა თუ არა, ოთხი-ხუთი გოჯი და მეორეთ იმ დროს, როდესაც ვაზი მზათ იყო ყვავილობისთვის; მესამეთ კი, გოგირდის და კირის ნარევს შაბიამანსაც უმატებდით. 20 გირვანქა შაბიამანს, 18 გირვანქა გოგირდს, 15 გირვანქა კირს ურევდით ერთმანეთში და 40 ფუთამდი წყალს ვასხამდით. შედეგი ამ ექიმობისა მშვენიერი იყო: სანამ შემოდგომის სიცივეები არ დადგებოდა, ვაზი საღ წვანე ფოთლებს ინარჩუნებდა. ესეც უნდა ვსთქვა, იმ დროში ბევრი ხმარობდა ამ საშუალებას და მახსოვს, რომ მეც რამდენიმე ადგილას მიმიწვევს, ამ მასალის მოსამზადებლათ.

გასულ 1914 წელს ს. სვირში, თავად გ. ამილახორის მამულში, სადაც მე ვმსახურობ, პირველ წამლობაზე, სწორეთ ეს ზემოხსენებული საშუალება ვიხმარე ვაზისთვის და მეორეთ კი შაბიამანი გაურიე. მარიამობის თვეში მეწვია ცნობილი მევენახე-მეღვინე ბ. ბერეკაშვილი და გაიკვირვა, როდესაც მე ვუთხარი ორჯერ მეტით არ მიმქმნია ვაზისთვის მეთქი, ისეთი საღი და მწვანე ფოთლები ჰქონდა ვაზს და მტევნები ხომ სრულებით არ იყო დამწვარი. თვით სვირელი გლეხები ჰკვირობდენ ამ შემთხვევით, რადგან, საერთოდ, გასულ წელში ცუდი ამინდების გამო ყველგან ძლიერ დაზარალდა ვაზი „მილდიუთი" (ჭრაქით). ასე რომ, სხვისი არ ვიცი და მე კი სრული იმედი მაქვს, თუ კი შესაფერისათ [illegible] ისე მომზადდება ეს [illegible] უეჭველათ შაბიამანის მაგიერობას გაუწევს, მხოლოდ მომზადება უფრო რთულია, ვიდრე ბორდოს სითხის და საჭიროა მაგალითის ყურებით შესწავლის ხალხმა. ჩემის აზრით გაზეთში ამოკითხვით ათში ერთი ვერ მოამზადებს. მაგალითად მე ხშირათ მომიმზადებია საკუთარი ჩემი ხელით, მაგრამ მეც შემეშალა ხოლმე ხელი. თავი და ბოლო ის არის რომ ამოირჩეს ის მომენტი, როდესაც კირი დაიშლება, ისევ ცხელია და გოგირდიც მაშინ უნდა შეაყაროთ კირს. ხშირათ გოგირდს ცხელი კირი ცეცხლს წაუკიდებს და უცოდინარო პირი მიატოვებს, ან დაუწყებს რევას და ვერას გახდება და უეჭველათ წაახდენს წამალს.

ამ შემთხვევაში სოველი ტომარა ან სხვა რამ უნდა იქონიოთ, წააფაროთ და ცეცხლი ჩაქრება და უმატოთ ცოტ-ცოტა ცივი წყალი. ერთი სიტყვით კირისა და გოგირდის ერთმანეთში არევა უნდა მოხდეს, სანამ კირი ისევ თფილია და არა გაცივებული. თუ კირმა გაცივება მოასწრო იმაში გოგირდის არევა აღარ შეიძლება და სხვა კირი უნდა ვიხმაროთ, ე. ი. გამოვცვალოთ. არევის დროსაც წყალის მიმატება ისე უნდა შეზომოთ, რომ კირი მალე არ გაცივდეს, ე. ი. სანამ კირი და გოგირდი ერთმანეთს კარგათ არ შეეზილოს და გოგირდის გურგუშლები მთლათ ერთიანად არ დაიშალოს.

ნარევი რომ შენელდება პირდაპირ ხელით უნდა მოიზილოს, როგორც ცომი და გურგუშლებიც ხელით უნდა დაიშალოს. ნაზი ხელების პატრონს კი ვერ შევბედავთ ამ მოქმედებას, მაგრამ მუშა კაცის ხელს ვერას დააკლებს, კიდევაც დაურბილებს. ამდაგვარათ თუ შეიზილა ერთმანეთში კირი და გოგირდი, მაშინ აღარავითარ ბწკიალებს არ მოიყენებს წამალი და თუ გოგირდი შეუზელელი დარჩა კირთან, მაშინ სასხურებელ მანქანას ხშირად დასჭირდება წმენდა და მუშა გაცდება.

გოგირდი და კირი ცალკე ჭურჭელში უნდა აირიოს, შემდეგ რაც საჭიროა იმდენი წყალი უნდა ჩაასხათ, მოზრდილ ჭურჭელში, რომელსაც ცხრილი უნდა დაადგათ და გაატაროთ შიგ ნარევი, რომ ქვიშა ან სხვა რამ არ გაჰყვეს და ამავე დროს მეორე კაცმა რითიმე წყალს ურიოს კარგათ.

ეს წამალი შეგვიძლია ვიხმაროთ მომზადებისთანავე და იმდენი უნდა მოვამზადოთ ორ-სამ დღეს მეტს არ გაჩერდეს, თორემ გაჩერება არ ვარგა.

ზომა უკვე რამოდენჯერმე დაიწერა ჩვენ გაზეთებში, მაგრამ კიდევ აღვნიშ-

ომიანობა თუ სამედიატორო სამართალი.

ომი და ერთმანეთის ძლევა საერთაშორისო უბედურებათ იყო ყოველთვის მიჩნეული, მაგრამ იგი უბედურება ამასთანავე სიკვდილივით აუცილებლათ მიაჩნდათ და, თუმცაღა ბევრი რამ საშუალებანი და პროექტები უცდიათ მის ასაცილებლათ, მაგრამ ყოველივეს ამაოთ ჩაუვლია. თავზარდამცემი იყო ყოველთვის ომიანობა, და ფიქრობდენ შექმნათ ისეთი რამ ორგანიზაცია, რომ კაცობრიობას სისხლის ღვრა თავიდან აეშორებია და ავი თუ კარგი საერთაშორისო ანგარიშები მშვიდობიანი გზით გაეთავებია.

მართალია 1872 წ. „ბრიტანეთის სოციალურ მეცნიერებათა გაუმჯობესობის ასოციაციამ", მეცნიერთა მოსაზრების მიხედვით, „მშვიდობის მყოფელი" პროექტის შედგენა ერთ ამერიკელს—დიდლეი ვილდეს მიანდო.

ვილდემ პროექტი კიდევაც შეადგინა. ამ პროექტის აზრით, იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე ნაციათა, თუ სახელმწიფოთა შორის უთანხმოება ჩამოვარდებოდა, ან მოსალოდნელი უკმაყოფილების საბაბი თავს წამოყოფდა, უკმაყოფილო, გინა შეურაცხყოფილ მხარეს საქმის გარემოება მეორესათვის დაწვრილებით უნდა ეცნობებია.

ამ ცნობაში მითითებული და აღნიშნული უნდა ყოფილიყო საჩივრის საბაბი და ისიც, თუ რა პირობებით შეიძლებოდა ამა თუ იმ პრეტენზიების დაკმაყოფილება.

მიიღებდა თუ არა რომელიმე მთავრობა მეორესაგან უკმაყოფილებისა, მიზეზებისა და შეთანხმების პირობების შესახებ ცნობებს, თავის თავი მოვალეთ უნდა ჩაეთვალა, რათა სამი თვის განმავლობაში სწორი და სრული პასუხი მიეცა.

და თუ შეთანხმება არ მოხდებოდა, მოდავე მხარეებს, ხუთ-ხუთი კაცი უნდა დაენიშნათ „შეერთებულს უმაღლეს კომისიაში", რომელიც საკითხს განსჯიდა და მოდავე მხარეთა შერიგებას შეუდგებოდა.

საქმის გამორკვევის შემდეგ კომისიის წევრებს თავ-თავის მთავრობისათვის ექვსი თვის განმავლობაში დაწვრილებითი ანგარიში უნდა წარედგინათ.

თუ კომისიის ნამოქმედარი და წინადადება მხარეებს არ დააკმაყოფილებდა, იგინი სხვა სახელმწიფოებს მიმართავდენ და მაშინ შვიდი კაცისაგან შემდგარი უმაღლესი სამედიატორო ტრიბუნალი უნდა შემდგარიყო.

სახელმწიფოთა თითოეულ მთავრობას უწყების მიღებიდან სამი თვის განმავლობაში მოდავეებისათვის ოთხ-ოთხი პირის სახელი უნდა წარედგინა და ამ სიიდან ორივე მხარეს რიგ-რიგობით იმდენი სახელი უნდა ამოეშალა, რომ უმაღლეს სამსჯავროში შვიდი მსაჯული უთუოდ დარჩენილიყო.

აი, ამ შვიდ მსაჯულს უნდა შეედგინა უმაღლესი ტრიბუნალი, რომლის განაჩენი მომჩივანთათვის სავალდებულო უნდა ყოფილიყო.

აბა ამაზე უკეთესი საშუალება მოდავე მხარეთა მორიგებისა განა შეიძლება? მაგრამ, კარგათ მოგეხსენებათ, რომ სამედიატორო სამართალი თურმე მხოლოდ იქ მოხერხდება, სადაც ნაციათა და სახელმწიფოთა შეჯახებისათვის სერიოზული მოტივები არ არსებობს, სადაც არც ერთი მხარე არაა მსურველი სისხლის ღვრით საქმის გასწორებისა და სადაც განჩინების სისრულეში მოყვანისათვის სამედიატორო ორგანიზაციის ხელში დიდი ძალაა დამარაგებული, და მოდავე მხარეები კი იარაღ აყრილი.

თორემ ახლა, როცა თითოეულ სახელმწიფოს სიკვდილ სიცოცხლის, საკითხი უდგას წინ და თან თავიდან ფეხამდი შეიარაღებულია, როცა მიწა არა ყოფნის სისხლის სადვრელათ და მარსი ჰაერშიც კი ცეცხლის ფრთებსა შლის, ვამბობ, ახლა არბიტრაჟს ვინღა გაუწევს ანგარიშს?!

ვინღა გაუწევს ანგარიშს სამედიატორო სამართალს, როცა უმთავრეს როლს ნაციონალური ჯიბრი თამაშობს, როცა უნდობლობისა და მტრობის გრძნობაა გამეფებული, როცა სურვილი ტერიტორიის გაფართოებისა, ამაღლება სახელმწიფო ძლიერებისა მეტოქე და მოდავე ხალხების და ნაციის დამცირებით უნდა იქნეს მოპოებული.

პირ იქით ახლანდელი ადამიანის პსიქოლოგიის მიხედვით მრავალ მეცნიერს ომი აუცილებლათ, საჭიროთა და სასარგებლოთაც კი მიაჩნია.

აი, რას ამტკიცებენ: ბერძნების სპარსელებთან ხშირ ომიანობამ ელადის ტომები გააერთიანა და გაერთიანებული საბერძნეთი განათლდა, განვითარდა, ამ გაერთიანებულმა ერმა გამოიღო თავისი გონების საუნჯეც და ეს საუნჯე მთელი ევროპის საუკეთესო იდეალების მშობლათ და აკვნათ გადაიქცა.

შესანიშნავი პოეტები და დრამატურგები სწორეთ იმ დროს დაებადენ საბერძნეთს ალექსანდრე მაკედონელის ომებმა საბერძნეთის კულტურა შორს, ძლიერ შორს აღმოსავლეთისაკენ გაშალაო. რომაელებმა რომ ელადა და იტალია დაიპყრეს, საბერძნეთის მდიდარს კულტურას სწორეთ მაშინ ეზიარენ, და ციცერონი, ცეზარი, სალუსტი, ვირგილიუსი, ჰორაცი და ოვიდი ამ დროს წარმოიშვენო.

საფრანგეთსა და ინგლისს შორის რომ ასი წლის ომი იყო, ამანაც ბევრი რამ შეგვძინაო (თოფის წამალი და ზარბაზანი მაშინდელი ომიანობის მონაგარიაო).

ჰუსის მოძღვრებით გამოწვეული მოძრაობის დროს ომებმა რომის პაპის თავგამოდება და მოხარკეობა აღაგმაო.

ფრიდრიხ მეხუთის დროის მომხდარი ომების გამო პროტესტანტებმა და კალვინისტებმა თავის აღსარებას თავისუფლება მოუპოვეს და ეს ხომ სარწმუნოების საქმეში დიდი პროგრესიული ნაბიჯიაო.

ნაპოლეონის ომს ცნობილი „სამღვთო კავშირი" მოჰყვა, კავშირი რომელიც მოკავშირე სახელმწიფოების მონარქებს ავალებდა თავ-თავის ქვეშევრდომებზე ისე ეზრუნათ, როგორც ამას სახარების პრინციპები: (სიყვარული, ძმობა და შებრალება) მოითხოვდა, ამ ზრუნვასთან ერთად ისინი ვალდებული იყვნენ ერთა სარწმუნოებას, მშვიდობას და სამართლიანობას პატივით მოპყრობოდენო.

ასეთ გაბატონებული აზრისათვის თუ ორიოდე საბუთებიც საჭირო იყო, საჭირო იყო იმ აზრის დამტკიცება, რომ ომი აუცილებელია და, აქამომდე თუ მას სარგებლობის მეტი არაფერი მოუტანია, აწ და მარადისაც იმასვე უნდა ველოდეთ.

და აი, ერთი ჯურის მეცნიერებმა კიდეც გადააჭარბეს: ცხოველთა და ადამიანთა შორის სწორი პარალელი გაატარეს და გვაჯერებენ: რაც პირველთა სამეფოში ხდება, ის მეორეთა სამეფოში უნდა მოხდესო.

გავიხსენოთ, როგორ მსჯელობენ ამ საგანზე.

ცხოველთა შორის ღონიერი ჯიში და გვარი ულონოებს მოერევა, შთანთქავს, მათ ადგილს თვით დაისაკუთრებსო და ზედ არხეინათ ინავარდებს, სანამ მათზე ძლიერი თავს არ დაესხმის და იმ დღესვე არ დააყენებს, რაც მან სხვას დააყენაო.

ასე მოდგმათა ერთა შორისაც: ომის დროს ვინც აჯობებს, ის დარჩება, ვინც დამარცხდება, ის დაიღუპებაო.

ინგლისელი პუბლიცისტი ბეჯგოტი ასეთ კანონს აღიარებს: ქვეყანა რანაირათაც უნდა შეიცვალოს, სულ ერთია; ულონიერესი ერები ყოველთვის ეცდებიან სხვებზე იბატონონ და სულ იმის მისწრაფებაში იქნებიან, რათა რომელიმე განსაზღვრული თვისებანი გაიუმჯობესონ.

გამარჯვება აფრთოვანებს მამაცობას და ტლანქი და მედგარი შეჯახება სამხედრო თვისებებისა ქვეყანაზე სიმდაბლეს აქრობსო.

ყოველთვის ყოფილა და შემდეგაც იქნება, რომ მხედრული უპირატესობა რეალურ უპირატესობასაც წარმოშობსო.

ერი, რომელიც ამარცხებს, სწორეთ ის ერია, რომელსაც უთუოდ უნდა დამარცხებია.

ამნაირი ეგზამენი, გამოცდა, რომელიც ერმა უნდა აიღოს, ნამდვილს პროგრესს ხელს უწყობს და გზას უკაფავსო.

კაი ხანია მას აქეთ, რაც ფონ-დერ-ბოლცი ამტკიცებდა: ყველა გრძნობს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაჲ: სამ გირვანქა ნახევარ კირს ამავე ზომა გოგირდი უნდა შეურიოთ და წყალი კი სულ ექვსი ფუთიანი ჩაფი სჭირდება.

დ. მდივანი.

სიტყვა

თქმული 26 აპრილს ქუთაისის მთავარ-ანგელოზის სასაფლაოზე, ლომოურის ჯანაზის წინ.

ჩვენის ხალხის უმისოდაც მცირე-რიცხოვან მოამაგეთა გუნდს ულმობელმა სიკვდილმა კვლავ მოსტაცა ერთი გულწრფელი და პატიოსანი მუშაკი, ნიკოლოზ იოსების ძე ლომოური რომლის ნეშტს დღეს მიაბარებენ ცივ-სამარეს ქ. გორში.

დღეიდან მიწა დაჰფარავს იმ მამულიშვილს, რომლის კეთილშობილებით ავსავსე გული ორმოცი წლის განმავლობაში ერთგულად სძგერდა თავის საყვარელ ხალხისათვის. ჩვენი ქვეყნის სხვა თვალსაჩინო მოჭირნახულეებთან ერთად ნიკოც შეზმული იყო იმ გუთანში, რომელიც სამშობლო ველებს უმზადებდა საგაზაფხულო ანეულს.

მიმართულებით „ხალხოსანს“ მას მიზნათ ჰქონდა, დაჩაგრული და უმეცარი ხალხის სამსახური. და თავის სიცოცხლეში ერთ-წამსაც არ უღალატნია ამ მიზნისათვის. მას სწადდა გაეთბო ამ ხალხის გული, ეტყორცნა სინათლის სხივი ამ წყვდიადის სამეფოში, დამცრობისაგან აღემაღლებია წელში მოხრილი **გლეხი**, მიეპყრო მისკენ ის ყურადღება, რომელიც ეკუთვნოდა კიდეც მას და ცხოვრებისაგანაც მოითხოვებოდა.

ხალხი, დემოსი—აი ის ფოკუსი, რომელშიაც თავი მოუყარეს ხალხოსნებმა („ნაროდნიკობამ“) თავის საუკეთესო მისწრაფებებს და შეუდგენ კიდეც პრაქტიკულათ მის იდეიალურ სიმაღლემდის აყვანას. მიაღწია თუ არა „ნაროდნიკობამ“ დასახულ მიზანს, ეს კითხვა ეხლა შეუსაბამოა, მხოლოდ საქმე ისაა, რომ ამ კეთილ და იდეალისტ მოძღვართა მეოხებით ხალხი არარაობიდან შეიქნა ქვაკუთხედათ ყოველი პოლიტიკური აზროვნების, მრწამსისა, ხალხი გადაიქცა ერთნაირ კერპად, რომლის სახელს ფიცულობს დღევანდელი, ეგრეთწოდებული, დემოკრატია და რომლის სახელით გამოდიან, აზროვნობენ და მოქმედებენ საუკეთესო მოღვაწენი 80—90-იან და შემდეგი წლებისა.

აი—რა პოპულიარობა, როგორი სახელი მისცა ხალხს ნაროდნიკობამ, აი—სადამდის აღამაღლა მან ხალხის მნიშვნელობა. ასეთი დიდი როლი ითამაშა იმ ნაროდნიკობამ, რომლის ერთ საუკეთესო წარმომადგენლად ჩვენში ითვლება ახლად განსვენებული ნიკო ლომოური. განსვენებულმა საკმაოთ დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი აზროვნების განვითარებაში, ჩვენს გათვითცნობიერებაში, როგორც წერით, ისე კიდევ ცხოვრებაში ცოცხალი მოქმედებით და ასეთ მოამაგეს მადლიერი შთამომავლობა, ეჭვი არა მაქვს, უსურვებს საუკუნო ხსენებას. ძ-ძო, ნუ დაგვშურდება ესეთი სადა ძეგლი დავუგოთ დღეს ნიკოლოზის წმინდა და სპეტაკს სახელს! საუკუნოთ იყოს ჩვენ შორის შენი კურთხეული ხსოვნა, ყოვლად-პატიოსანო ხალხის შვილო და ჩვენო სულიერო მამა და მოძღვარო, ნიკოლოზ იოსების ძე! ღმერთმა მოგცეს სალხინება და ნეტარება შენს ახალ სამკვიდრებელში!

მღვ. **ხ. ლეკვეიშვილი.**

ახალი ამბავი.

✦ ოთხშაბათს, 6 მაისს, შავიქვის საბჭოს დარბაზში მოხდა პირველი კრება „ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრთა, კრებას გარეშენიც დაესწრენ, და ბევრი მათგანი წევრათაც ჩაეწერა.

რადგანაც კრება იმდენათ მრავალ-რიცხოვანი არ აღმოჩნდა, რამდენადაც მოსალოდნელი იყო, ერთხმად დადგენილ იქმნა:

1. საქმის სათავეში ჯერ-ჯერობით დარჩეს დროებითი გამგეობა, 2. მოწვეულ იქნეს მეორე კრება, რაც შეიძლება მრავალ-რიცხოვანი გაზეთებითა და კერძო წერილებით ეცნობოს ქალაქის მცხოვრებთა წარმომადგენლებს დრო და ადგილი მეორე კრებისა, 3. ვიდრე მეორე კრება დაინიშნებოდეს, დროებითმა გამგეობამ შუამდგომლობა უნდა აღძრას მთავრობის წინაშე, რათა ნება ჰქონდეს გამართოს მთელ გუბერნიაში საზოგადოთ და ქუთაისში კერძოთ „ყულაბით ფულის შეკრების დღე“, ომისაგან დაზარალებულ ქართველების (აჭარლების) დასახსარებლათ. 4. ამავე გამგეობამ უნდა იშუამდგომლოს, რომ „საზოგადოების“ ნდობით აღჭურვილ პირებს ნება მიეცეთ აჭარაში შესვლისა, აჭარლების ეკონომიურ მდგომარეობის გამოსარკვევათ და დასახმარებლათ. 5. მოეწყოს ორგანიზაცია ყულაბით ფულის შეკრების დღისათვის. 6. დარიგდეს ყველა დაწესებულებებში „ქარ. საქ. საზოგადოების“ კვიტანციები წევრების შესაძენათ. 7. დროებითმა გამგეობამ მთავრობას უნდა გამოსთხოვოს ნებართვა სტუდენტებისათვის, რომ მათ შესძლონ კრების გამართვა აჭარელთა დასახმარებლათ 8. დროებითმა გამგეობამ უნდა იზრუნოს ქუთაისში უკვე არსებულ კერძო საქველმოქმედო საზოგადოების შეერთების შესახებ და სხვა.

მეორე კრება ხდება მაშინ, როცა ქართ. საქველმოქ. საზოგადოების დროებითი გამგეობა ზემო ჩამოთვლილ მინდობილებას შეასრულებს, რაც ძალიან უნდა დააჩქაროს.

✦ ქუთაისის მაზრის უფროსი ბ. იუსუპოვი ამ ჟამათ ტყიბულის რაიონში ოკრიბის სოფლების კანცელარიებს დასათვალიერებლათ არის წასული.

✦ ქუთაისის მაზრის წვრილი კრედიტის ამხანაგობის წარმომადგენლებს ბ. ქუთაისის გუბერნატორი თერგის ოლქიდან სიმინდის შემოსატანათ ვაგონებს უკვე დაპირდა. ბ. გუბერნატორი წარმომადგენლებს სხვა დახმარებასაც დაპირდა.

✦ კვირას, 10 მაისს, დილის 12 საათზე, ქუთაისში მყოფ ქართველ სტუდენტებს განზრახვა აქვთ მოლაპარაკება გამართონ აჭარლების დახმარების შესახებ. მოლაპარაკება მოხდება შავიქვის საბჭოს დარბაზში.

✦ სამიწათმოქმედო დეპარტამენტის უფროს სამართველოს განზრახვა აქვს რუსეთის სახელმწიფო წამლების შემოტანის მხრით სხვა სახელმწიფოებიდან დამოუკიდებელი გახადოს. ამისთვის სამიწ.-მოქ. დეპ. სამართველო ქუთაისის ქალაქის თვითმართველობასა და სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას ატყობინებს, რომ იზრუნონ ისეთი კულტურული მცენარეების მოსაშენებლათ, რომელიც წამლეულებისათვის გამოდგება.

✦ რედაქციამ მიიღო ნიკო ლომოურის ორი ისტორიული ამბავი. 1) „წინაპართა აჩრდილნი“ და 2) „ხერხი სჯობიან ღონესა“. წიგნი გამოცემულია იასონ კერესელიძის მიერ, შეიცავს 58 გვერდს და ღირს შაურად.

შაბათს, 9 მაისს, თფილისიდან ჩამოვა ცნობილი ინჟინერი ბ. ქურდიანი. კვირას, 10 მაისს, ბ. ქურდიანი, ქალაქის მოურავი მ. ჩიქოვანი რამოდენიმე ხმოსნით დილის მატარებლით ნაქერალას ქედისაკენ გაემგზავრებიან მოხოულის წყაროების დასათვალიერებლათ. ბ. ქურდიანი ამ წყაროების გასაშინჯავათ მესამეთ მიემგზავრება.

✦ 7 მაისს ქ. თეატრში გაიმართა წარმოდგენა ნიკო გვარაძის საბენეფისოთ. წარმოადგინეს ორიგინალური პიესა შ. სანებლიძისა „ცხოვრების ტალღებში.“ წარმოდგენას ხალხი ბლომათ დაესწრო უმრავლესობას პიესა მოეწონა. საერთოთ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზე რეცენზიას ხვალის ნუმერში მოვათავსებთ.

✦ სამშაბათს, 5 მაისს, შავი ქვის საბჭოს დარბაზში შესდგა ქუთაისის მაზრის წვრილი კრედიტის ამხანაგობის წარმომადგენელთა კრება, თერგის ოლქიდან სიმინდის შემოტანის შესახებ. კრებამ კამათის შემდეგ დ. ხონის წვრ. კრედიტის ამხანაგობას მიანდო იქონიოს მოლაპარაკება თერგის ოლქში სიმინდის მეპატრონეებთან.

✦ როგორც ტყიბულიდან გვწერენ, ნახშირაში მუშაობა ამ ჟამად ნორმალურად სწარმოებს. ნახშირას გამგეობა ახალ მუშებსაც ღებულობს.

✦ დღეს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდება საფინანსო კომისიის კრება ქალაქის მდგომარე წლის ხარჯთაღრიცხვის განსახილველათ.

✦ როგორც სოფ. გურნიდან გვწერენ, აპრილის ბოლო რიცხვებში თოვლი მოსულა, რასაც ვენახები და ხეები მოუწვავს. დათესილი ყანები სიცივეებს წაუხდენია. გლეხები ყანებს ხელმეორეთ სთესვენ.

✦ რაჭის მაზრაში ახალგაზდათა გაწვევა სამხედრო ბეგარის მოსახდელათ მოხდება პირველ გასაწვევ უბანში ონში 15-დან 21 მაისამდი. მეორე გასაწვევ უბანში სოფ. ამბროლაურიდან 23-დან 30 მაისამდი.

✦ 6 მაისს, ოლქის სასამართლომ გაარჩია ოზურგეთის მაზრის ბოქაულის პართენ ყიფიანის საქმე. მას ბრალდებოდა ყალბი ქაღალდების შედგენა. სასამართლომ მას 8 თვის ციხე მიუსაჯა.

✦ ქალაქის სანიტარმა ვ. ბეჟანიშვილმა უსუფთაობისათვის ბერუჩოვის ქუჩაზე ოქმი შეუყენა შემდეგ პირებს: გაბრიელ თავდიდიშვილს, აბრამ ციციაშვილს, მიხეილ ელუაშვილს, ისაკ ბატიაშვილს, ელო და არონ გაგუაშვილს, იოსებ გაწყეპლიშვილს, ისაკ ელუაშვილს, იოსებ გაგულაშვილს, ეფრემ ჩიკვაშვილს, გელათის ქუჩაზე: იოსებ ჩიკვაშვილს, დავით ელიგულაშვილს და სიმონ რიჟინაშვილს.

თფილისი.

— ქართული მუზეუმი, როგორც ვიცით, საკუთარი შენობის უქონლობის გამო მოთავსებულია სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობაში. თფილისის გუბერნიის მოსწავლეთა დამხმარე კომიტეტს გადაუწყვეტია შენობა გააქირაოს და მით თავისი შემოსავალი გააძლიეროს, ამიტომ წინადადება მისცა წ. კ. გ. საზოგადოებას გადაიტანოს მუზეუმი სხვა ადგილას. წ. კ. საზოგადოების გამგეობა ფიქრობს „ფიქრის გორაზე“ აგოს მუზეუმისთვის დროებითი შენობა.

— **ქართველი მაჰმადიანები.** ბათუმელმა მღვდელმა მ. ჩხიკვაძემ სთხოვა საქართველოს ეგზარხოსს, რათა მან იშუამდგომლოს და სამშობლოში დააბრუნებინოს ბათუმის ოლქიდან რიაზანის გუბერნიაში გაძევებულნი 18 ქართველი მუსულმანი.

— საზოგადოება „განათლება“-მ გადასწყვიტა თფილისში გახსნას დედათა საოსტატო ქართული სემინარია და ამის შესახებ უკვე აღძრა სათანადო შუამდგომლობა. რადგანაც საზოგადოებას არ შეუძლია თავისი მცირე თანხით ეს დიდი საქმე განახორციელოს, ამიტომ აირჩიეს განსაკუთრებული კომისია და დაავალეს სახსარის გამონახვა. კომისია აპირებს მიმართოს ყველა საზოგადო დაწესებულებას და სთხოვოს ნივთიერი დახმარება.

— **მეურნეობა.** მეხილეების კავკასიური განყოფილება აპირებს გორის მაზრის მეხილეობის მდგომარეობის შესწავლის ანკეტის შედგენით.

აჭარლების დახმარება.

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისურ განყოფილების ხაზინადარს გრ. გველესიანს კ. კაჭახიძემ გადასცა მის მიერ შეგროვილი აჭარლების სასარგებლოთ შვიდი მანეთი.

ეს ფული შესწირეს: კოწია კაჭახიძემ—5 მან., ვლად. ჩოჩიამ—1 მან. და დიომიდე ლომაძემ—1 მან.

განყოფილების გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

წერილი თფილისიდან.

(მეისტორიე დიმ. ზ. ბაქრაძის სახსოვარი დღე).

არც ერთს ქვეყანაში არ არსებობს ისეთი მრუდე შეხედულება საზოგადო მოღვაწეობის შესახებ, როგორც საქართველოში. თუ პოეტი და ან მსახიობი არა ხარ, ტყუილიად ნუ ელი საზოგადოების მხრით თანაგრძნობას და პატივისცემის გრძნობის გამომჟღავნებას..., სჩანს, რომ ჩვენს საზოგადოებას მხოლოდ მგოსნობა და მსახიობობა მიაჩნია ორს უდიდეს ბოძად, რომელზეც უნდა ემყარებოდეს მთელის ერის კეთილდღეობა... ეს გარემოება მოასწავებს ჩვენი ერის გონებრივ ცალმხრივობას და მის ერთგვარს შეუგნებლობას...*)

ჯერ კიდევ სულმნათმა შოთამ შაირობას (პოეზიას) უწოდა სიბრძნის ერთი დარგთაგანი... პოეზია, მართლაც, ერთი დარგია სიბრძნისა და სხვა არაფერი... სიბრძნეს აქვს პოეზიის გარდა სხვა დარგებიც. ავიღოთ, თუნდ სიძველეთ მეცნიერება (არხეოლოგია), ისტორია, ნუმიზმატიკა (ძველ ფულთა შესწავლა), პალეოგრაფია (ძველი ნაწერთა შესწავლა), ეთნოგრაფია, ეკონომიური მეცნიერებანი, ფილოსოფია, ლოღიკა, ფსიხოლოგია და სხვა... ერის კეთილდღეობისათვის ამ დარგებსაც სიბრძნისას არა ნაკლები მნიშვნელობა აქვსთ, ვიდრე პოეზიას და მსახიობობას.

არხეოლოგიას და ისტორიას ჩვენს სამშობლოში, რომლის წარსულის შესწავლა ბოლო ხანებში დროს მოთხოვნილებად გარდიქცა, ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ერის გათვითცნობიერებისათვის... ამის და მიუხედავად, ძლიერ ცოტა რიცხვი მკვლევართა ეტანებოდა არხეოლოგიის და ისტორიის შესწავლას ქართველთა შორის წარსულ საუკუნის სამოცდაათ წლამდის... ეს მოვლენა არ იყო ნორმალური ისეთს დიდებულს ისტორიულს ცხარეში, როგორიც საქართველოა...

---

*) მაინცა და მაინც არც პოეტები და მსახიობები ჰყავს ჩვენს საზოგადოებას განებივრებულნი. რედ.

რომ მომავალი ომიანობა წარმოუდგენელი გამანადგურებელი ძალით გვეწვევა; ეგ იქნება ხალხთა და არა მარტო ლაშქართა შეტაკებაო. გონება-ზნეობის ყველა ძალები თავს მოიყრიან სამკვდრო სასიცოცხლო შებრძოლებისათვისო; მებრძოლ მხარეთა ინტელიგენციაც კი უკლისათ და მოპირდაპირეთ შეებმიან ერთმანეთს, რათა ერთმანეთი შეუბრალებლათ გაჟლიტონო.

და მაშინ არმიათა სიმრავლესა და მის მოხერხებაზე იქნება დამოკიდებული სიდიდე ომისაგან წარმოშობილი უბედურებისა.

თუ დავაკვირდებით ევროპის ახლანდელს ომიანობას, ფონ-დერ-ჰოლცის წინაწარმეტყველების სურათი ჩვენ თვალწინ თანდათანობით იშლება.

და უნდა ვიფიქროთ, რომ ამგვარს ბრძოლას მოყვება სრული დაქანცვა, დაუძლურდება და ყოველგვარი გაკოტრება.

გამოთარგმანებით რომა ვსთქვათ, ასე გამოდის: მშვიდობა თურმე დამყარდება იმ ახალ ქვეყანაზე, რომელიც ახლანდელი კაცობრიობის საფლავათ გარდაიქცევა. ვიფ! რა კარგი მშვიდობა იქნება!

მერე რაღა იქნება? უარესიო.

და აი, იგივე ფონ-დერ-ჰოლცი როგორ განაგრძობს: სანამ ადამიანს ქვეყნიური კეთილდღეობისადმი მისწრაფება ექნება, სანამ ადამიანები იზრუნებენ შთამომავლობის განვითარებისა, მშვიდობისა და პატივისათვის, სანამ ისინი იმეცადინებენ დიდებული გონების კაცთა ხელმძღვანელობით, რათა განახორციელონ პოლიტიკური და კულტურული იდეალები, ისეთი იდეალები, რომელნიც დღიური საჭიროების ფარგლიდან გამოდიან—მანამდი ქვეყანაზე ომი უსაჭიროესი მოვლენა იქნებაო.

ყოველ შემთხვევაში ომიანობა ადამიანის ხვედრი ყოფილა და იქნება; საუკუნო მშვიდობა მომაკვდავი ადამიანისათვის მიუწვდომელი იყო და იქნება.

და რაკი ომი ატყდება, იგი უნდა სწარმოებდეს სრული ენერგიით, რაც კი სახელმწიფოს და ერს მოეძევება; არ უნდა იანგარიშონ არც ფული, არც მეომარი. ლაშქარი ხომ ყოველთვის ახალგაზდობისაგან შესდგება და ახალგაზდობას სიკვდილი მაინდა მაინც არაფრათ მიაჩნიათო, იგი **მხნეთ** და **უშიშრათ** მიდის სამარათ და ეგ ორი თვისება სისხლის ღვრისათვის უსაჭიროესი თვისებაათ.

ეგეც კაი ყოფილა, სწორეთ მოგახსენოთ!

ასეთი ფილოსოფიით იკვებებოდა 30—40 წლის განმავლობაში გერმანიის აზროვნობა და არა მარტო გერმანიის, არამედ ყველა იმათი, ვინც პაციფისტებს სასაცილოთ იგდებდენ და ვისაც ყოველ მშვიდობის მოყვარე, არბიტრაჟისა და სამედიატორო სამართლის მომხრე სამხედრო რომანტიკოსებათ მიაჩნდათ და მიაჩნიათ.

და ახლა რომ მთელს ევროპას ომის ცეცხლი ანადგურებს, ყველა რაღაცნაირს შვებას მოელის ისე, თითქო ევროპა დამზღვევ საზოგადოებაში ყოფილიყოს დაზღვეული, განგებ ვინმეს ცეცხლი წაეკიდებინოს და საზღვევი ფულით ჯიბის გატენას მოელოდენ.

მეც მინდა დავიჯერო და ამ იმედით გული გავიხარო, მაგრამ ომიანობის წარსულსა და აწმყოს რომ ვუკვირდები, ბევრს სიიმედოს ვერასა ვხედავ; პირიქით ახლანდელი ატეხილი ომის ცეცხლს იმდენი ხნის ნამარაგევი წუმწუმა და ნავთი აქვს მომზადილი, რომ ასე მალე არ გამოილევა. გამოლევამ შენი ჭირი წაიღოს, ვაი თუ ომისა და სისხლის ღვრის უფრო ახალ ახალი მიზეზები აღმოცენდეს, ახალ-ახალი სისხლისა და შურისძიებამ წამოყოს თავი კაცობრიობის სარბიელზე.

ხვავით დაყრილ დასახიჩრებულ მეომართა გულის შემზარავ კვნესა ტირილმა, მათი სისხლის წრეტამ, მომავალი ახალგაზდობის შუბებით ფატვრამ, ხმლით ჩეხამ და ერთი-მეორისა ტყვიით ხვრეტამ თავზარი უნდა დასცეს ომის მოზიარეებს; ყოველივე ეს აშკარათ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადამიანის ზნეობას, ადამიანისა, რომელიც მშვიდობიან საზოგადოებაში აღზრდილა, მაგრამ ახლა ამ არა ჩვეულებრივი ომიანობის ჟამს, ხანგრძლივი და სამუდამო მშვიდობის პროექტმა ჩაილურის წყალი დალია.

კანტის „საუკუნო მშვიდობიანობის თეორია“ ბავშურ უტოპიათ მიიჩნევს.

კანტის „სამუდამო მშვიდობაო“, სწერდა გრაფი მოლტკე 1880 წელს პროფესორ ბლუნჩლის, პირწავარდნილი ოცნებაა და ისეთი ოცნება, რომელიც მაინცა და მაინც ვერაფრით მოხიბლავს ადამიანსო.

ომი ღვთის მიერ შექმნილი წესიერების ელემენტიაო.

ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ ომში განვითარდება საუკეთესო თვისებანი ადამიანისა: მამაცობა, უანგარობა, მოვალეობისადმი ერთგულება; ომი რომ მოისპოს, ადამიანი მატერიალიზმის ლაფში ჩაიხრჩობაო.

აი ასეთ აზროვნებაზე აღზრდილი მწერლები დიდი ხანია სწერდენ, რომ ბევრი დრო არ გაივლის და საფრანგეთი და გერმანია ერთმანეთს შეასკდებიანო, მერე გერმანია და ავსტრია რუსეთს შეებმებიანო, მერმე რუსეთი და ინგლისი იბრძოლებენ საშუალო აზიის საფლობელოს და სათათრეთის საქმეების გამოო; მერმე ოტომანის იმპერია უნდა დაეცეს, რასაც დიდი სისხლის ღვრა მოჰყვებაო.

ზოგიერთნი ამაზე მეტსაც ამბობენ: ევროპა ამერიკას დაეძგერება და ამას მოყვება საშინელი ზღვის ბრძოლა ევროპისა და ამერიკის ფლოტებს შორისო.

ვინიცობაა, ეგება ამას შემდეგ შეიცვალოს მართლა კაცობრიობის და ომის ფსიხოლოგია და ამან გადასჭრას საკითხი ომიანობის აუცილებლობის, მოსპობის და სარგებლობის შესახებ.

შემდეგ ზემოხსენებულისა რა ვუწინასწარმეტყველოთ, ან რა უნდა ვუმახარობლოთ ჩვენისთანა პატარა ერებს!

ათასი რომ ვინმეს ეწყინოს, მე ამ შემთხვევაში ავყია წინასწარმეტყველობის მეტი არაფერი შემიძლია:

აქლემები რომ წაიკიდებიან, კოზაკი გაიჭყლიტებაო, ნათქვამია.

და აი, ერთი პატიოსანი კოზაკი—ბელგია ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის აქლემებმა გასრისეს, და თუ ასეთი საიმედო კოზაკი არ შეიბრალეს, სხვაზე რაღა უნდა ვსთქვათ?! უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა კოზაკებსაც ამგვარივე ბედი მოელით, თუ თავგასული აქლემების საჭიროებამ მოითხოვა.

მაგრამ, თუ სამედიატორო სამართლის იდეამ ფეხი მოიდგა და არბიტრაჟს საშუალება მიეცა, რათა მისი სამართლიანი განჩინება ძალით მაინც შესრულებინოს სხვისი უფლების დამრღვევ მხარეს, თუ საერთაშორისო პოლიტიკაში ზნეობის სხივმა შეიჭრიტა, მაშინ ჩვენისთანა პატარა ერებსაც შეეძლება კანონიერი ხმის ამოღება და სრული კმაყოფილების მიღებაც.

ვინ იცის, ეგება ამასაც მოვესწროთ და ახლანდელმა უმაგალითო ომიანობამ სისხლით მორწყულ ნიადაგზე არბიტრაჟი აღმოაცენოს. საიმედო ნიშნები ხომ აქაიქ ჩნდება კიდეც.

15 მარტს შესდგა ჰააგაში ქალთა საერთაშორისო კონგრესი. კრებას გულითადი ხასიათი ჰქონდაო, იწერებიან, მხურვალე სიტყვები წარმოითქვაო.

რეზოლიუციათაგან პირველ ადგილზე წამოყენებულია **არბიტრაჟის საჭიროება;** აი, რეზოლიუციაც: ქალთა საერთაშორისო კონგრესი გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მომავალში ყოველი საერთაშორისო უთანხმოება მოწესრიგებული და გარდაწყვეტილი იქნება **სამედიატორო ტრიბუნალისა და შემრიგებელი რჩევის მიერ.**

კონგრესი გამოსთქვამს სურვილს, რომ ყოველი ქვეყნის მთავრობებმა შეკრან კონვენცია ამ წესის განხორციელებისათვის. თუ მანამდი მივაწიეთ, ეგება პატარა ერების სამართლიანს ხმასა და პრეტენზიასაც სვინიდისიერი ანგარიში გაუწიონ.

ხოლო თუ საერთაშორისო პოლიტიკაში წარსული და აწმყო ტენდენცია იქნება გაბატონებული, პატარა ერები მუდამ გადასაბიჯებელი ლობე იქნება და მათი საქვეო თავისუფლება დიდებისათვის ფეხით საჯირგალო საგნათ შეიქნება.

სამსონ ყიფიანი.

მესამოცე წლებიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია დიმიტრი ზაქარიას ძემ ბაქრაძემ, რომელიც მთელს თავისუფალს დროს სწირავდა ამ საქმეს. მისი ისტორიული გამოკვლევანი დამყარებული იყვნენ მეცნიერულს მეთოდზე. მის ნაშრომთა მეოხებით გაიღვიძა საქართველოში მშობლიური ისტორიის შესწავლის წყურვილმა,—გამოჩნდა მთელი წყება მეისტორიეთა, რომელნიც დღემდისაც განაგრძობენ მის მიერ დაწყებულს დიდ მნიშვნელოვანს და დიდშედეგოვანს საქმეს.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ გადასწყვიტა ამასწინათ ჩვენის დიდებულის მოქირნახულე მეისტორიის დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალებიდან 25 წლის შესრულების თავი († 1890 წ.) აღენიშა მისის თაოსნობით კვირას, 3 მაისს დიდუბის ეკლესიაში, რომლის გალავანშიც დასაფლავებულია მისი გვამი, მღვდელმა იოსებ მირიანაშვილმა შეასრულა ქართულად სულისმოსახსენებელი წირვა და წირვის შემდეგ მისი ძეგლის წინაშე პანაშვიდი გადაიხადა.

ბლომად შეგროვდენ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელნი დიდუბის ეკლესიის გალავანში, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ უფრო მეტს თანაგრძნობას მოველოდით ქართველი მეისტორიის სახელის ხსოვნისადმი! განსაკუთრებით ძლიერ ცოტა იყვნენ აქ სამღვდელოების წარმომადგენელნი: მამა მირიანაშვილის გარდა იყო კიდევ ორი სხვა მღვდელი.. ქართველ ქალების წარმომადგენელნი ძლიერ ცოტა იყვნენ, ალბათ ისინი ჯერ კიდევ არ სწყალობენ ქართულს ისტორიას და მეისტორიეს ხსოვნაც არაფრად მიაჩნიათ!..

პანაშვიდის დაწყების წინ მამა მირიანაშვილმა მოკლე სიტყვით გაახსენა შეკრებილ საზოგადოებას დიმიტრი ბაქრაძის ღვაწლი, მშობლიური ისტორიის გამოსაკვლევად გაწეული. პანაშვიდის ჟამს გალობდა ქართულად მწყობრად და ხმაშეწყობილად მამა ფუთკარაშვილის მიერ გაწვრთნილი მგალობელთა გუნდი, რომლის გასაწვრთნელად ეტყობა დიდი ჯაფა გაუწევია...

იმავე დღეს საღამოს შვიდს საათზე გაიმართა საჯარო სხდომა დ. ბაქრაძის ხსოვნის აღსანიშნავად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა ბ. ექვთიმე თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. სხდომას ბლომად დაესწრო საზოგადოება. კრების გახსნის შემდეგ ბ. ექვთიმე თაყაიშვილმა მოკლედ და საბუთიანად განუმარტა საზოგადოებას, თუ რა ღვაწლი მიუძღვის დიმიტრი ბაქრაძეს საქართველოს ისტორიის გამოკვლევაში და რა ამაგი დასდო მან ქართველს საზოგადოებას თვისი მრავალწლოვანი მოღვაწეობით. თავმჯდომარის სიტყვის შემდეგ ბ. მოსე ჯანაშვილმა ვრცელს მოხსენებაში აღნუსხა იმავე ბაქრაძის მოღვაწეობა... დამსწრე საზოგადოებამ მომხსენებელნი ტაშისკვრით დააჯილდოვა.

ძლიერ კარგი იქნება, რომ ქუთაისშიაც, როგორც დასავლეთ საქართველოს შუაგულში, ადგილობრივი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება დანიშნავდეს მაისში დიმიტრი ბაქრაძის სახსოვარს დღეს.*) იმ დღეს უნდა იქმნას შესრულებული მისი სულის მომხსენებელი წირვა და გადახდილ იქნას პანაშვიდი... იმავე საღამოს გაიმართება ხსენებული საზოგადოების საჯარო სხდომა. მომხსენებელი გააცნობს დამსწრე საზოგადოებას განსვენებული მეისტორიეს მოღვაწეობას. ამით შევასრულებთ ჩვენს ზნეობრივს მოვალეობას მისი სახელის ხსოვნის წინაშე. დ. ბაქრაძის ღვაწლის მოგონებას ექნება ერთგვარი საკეთილო საალმზრდელო მნიშვნელობა და ამის მეოხებით ქართველი საზოგადოება მიხვდება, რომ ჩვენის ქვეყნის წინსვლა-განვითარებას ემსახურებიან არა მხოლოდ პოეტნი და მსახიობნი, არამედ სიბრძნის სხვა დარგის მოღვაწენიც, რომელთა შორის მეისტორიესაც ფრიად საპატიო ადგილი უჭირავს...

ილ. ფერაძე.

დაბა-სოფლები.

ხოფ. ეწერ-ბაში (ქუთაისის მაზრა). ყველასათვის ცხადია ისა, თუ რა მავნე ჩვეულებაა დღეობის გადახდა. წელს ხალხი ძლიერ დამშეულია მოუსავლობის გამო და ამას გარდა ცხოვრება ომიანობის გამო გაძვირებულია. ამისთანა დროს დღეობის გადახდა მეტად ძნელია. ამისათვის ჩვენ სოფელ ეწერ-ბაშის მცხოვრებლებმა ადგილობრივ ინტელიგენტთა თაოსნობით ერთხმათ დავადგინეთ: წელს აღარ გადვიხადოთ დღეობა „სულიწმიდის მოფენა", რომელიც არის ათ მაისს. თუ ვინმე ჩვენთაგანმა მიიპატიჟა სტუმრები და გადიხადა დღეობა, ჯარიმათ უნდა გადაიხადოს ადგილობრივ სკოლის სასარგებლოთ ათი მანეთი. ამიტომ ვსთხოვ პატივცემულ სტუმრებს ამ დღეს მობრძანებით თავს ნუ შეიწუხებენ.

ივანე ნუცუბიძე.

კლდეეთის საზოგადოება. (შორაპნის მაზრა). ორშაბათს, 4 მაისს, კლდეეთის საზოგადოების რვა სოფელმა: ძლოურმა, ალავერდმა, თვრინმა, კინოთმა, ტაბაკინმა, ცხრა-წყარომ, კვალითმა და კლდეეთმა შემდეგი შინაარსის განაჩენი დაადგინა: 1. მოისპოს სრულიად „კაი დღეები", ოქონობა, გიორგობა, აღდგომის სამშაბათი, კვირა-ცხოვლობა და ბარბალობა იმ სახით როგორც დღემდი იყო, ე. ი. ქეიფობა, პატიჟობა, ლოთობა და უაზრო ხარჯები; დარჩენილი იქნება მხოლოდ ქრისტიანული წესით დღესასწაულობა, რასაკვირველია. 2. კვირა-უქმე დღეებში აიკრძალოს ურემში ხარების შებმა, გარდა საპატიო მიზეზებისა; დაისვენოს ცხოველებმა და შეძლებისა და გვარად ეკლესიებში იაროს ხალხმა. 3. მოისპოს ტირილ-ქელეხები: ნაცვლად ბრინჯ-მაკარონ-კარტოფილ და ხიზალალასა დარჩეს მხოლოდ პური და ლობიო. გადასახურავი დაწესდეს არა ნაკლებ 10 შაურისა. ამ განაჩენის ამსრულებლად არჩეულ იქნა ყოველ სოფელში სამ-სამი კაცი. ვინც დაარღვევს ამ დადგენილებას ის გადიხდის სკოლის სასარგებლოდ 25 მანეთს.

კ. გძელი.

სამედიატორო სასამართლოს დადგენილება.

1915 წელს, აპრილის 30-სა დღესა. ჩვენ ქვემორე ამაზე ხელის მომწერნი—ბახვის ორკლასიანი სკოლის მზრუნველის იაგორ ალექსის ძე ჰელიძისა და კორესპონდენტ მანასე ერმილეს ძის ჰელიძის მედიატორენი, არჩეულნი იმ ბრალდების გამოსარკვევათ, რომელიც აღნიშნა ბ. მანასე ჰელიძემ გაზ. „სამშობლოს" 42-ე ნუმერში შემდეგი სიტყვებით: „სამწუხარო ისაა, რომ ასეთი (კარტ-ნარდის) თამაშობა სოფლის ორკლასიანი სკოლის ერთ-ერთ ოთახში სწარმოებს, რაც არ ეპატივება სკოლის ზედამხედველს"-ო,—შევიკრიბეთ რა ჩვენ მიერ ერთხმათ არჩეულ ავსენტი ელიზბარის ძის ჩხაიძის თავმჯდომარეობით, შეუდექით ზემო აღნიშნულ საქმის გარჩევას ღია კარებში.

რადგანაც ბ. კორესპონდენტმა წინასწარ საქმის გარჩევისა განაცხადა: „მე შეცდომაში შემიყვანეს და საბუთი არა მაქვს დავამტკიცო ჩემ მიერ გაზ. „სამშობლოში" მოთავსებული ცნობა ბახვის ორკლასიანი სკოლის შენობაში კარტ-ნარდის თამაშობის შესახებ, ამიტომ ჩემი ზემოხსენებული ბრალდება უკან მიმაქვს",—რითაც მოწინააღმდეგე მხარე სავსებით დაკმაყოფილდა,—სამედიატორო სასამართლომ, დაეთანხმა რა კორესპონდენტის უკანასკნელ განცხადებას, ზემოხსენებული ბრალდება უსაფუძვლოთ სცნო.

სამედიატორო სასამართლოს
თავმჯდომარე **ა. ჩხაიძე.**

მედიატორენი:
1) **მახა საბაშვილი.**
2) **ხარიტონ ჰელიძე.**
3) **კირილე გეორგაძე.**
4) **იესე მგელაძე.**

წესდება

იმ სასჯელების, რომელიც მიესჯება მომრიგებელ მოსამართლეთაგან ყურძნის ღვინის ახალი წესების დარღვევის გამო.

თუ 115-ე მუხლში ნაჩვენები დანაშაულობანი განმეორებულ იქნებიან მეორეჯერ ან მეტჯერ, სასამართლოს შეუძლია გამოაკიდებინოს დამნაშავეს მისსავე სავაჭრო-სამრეწველო შენობაში, თვალსაჩინო ალაგას, მასზე სასამართლოს მიერ დადგენილი განჩინება ერთ წლამდი და აგრეთვე, დამნაშავისვე ხარჯით, გამოაქვეყნოს ეს განჩინება ერთ-ერთ მთავრობისა და ერთ-ერთ კერძო დროებით გამოცემაში.

115. ის პირნი, ვინც გასაყიდათ დაამზადებს, ან შეინახავს სავაჭრო-სამრეწველო შენობაში ან გაყიდის ისეთ სანოვაგეს, ან სასმელებს, რომელიც მავნებელი არის ადამიანის ჯანმთელობისათვის ან გააკეთებს ჭურჭელს ჯანმრთელობისათვის მავნე მასალისაგან, დამნაშავენი, გარდა სანოვაგისა, ჭურჭლისა და სასმელების მოსპობისა დაისჯებიან სამი თვით ციხეში ჩაჯდომით, ან დაჯარიმებულ იქნებიან 300 მან.

115_2. ის პირნი, ვინც გასაყიდათ დაამზადებს ან შეინახავს სავაჭრო სამრეწველო შენობაში, ან გაყიდის იმგვარ სასმელებს, რომელთა დამზადებისა და გაყიდვის შესახებ, კანონით თუ მართველობის კანონიერ დადგენილებით დაწესებულ, ხალხის ჯანმთელობის საკეთილდღეოთ, განსაკუთრებულ წესებს დაარღვევს, დამნაშავენი დაისჯებიან, ერთი თვის დაპატიმრებით, ან გადახდებათ ჯარიმა 100 მან.

115_3. ის პირნი, ვინც შეინახავს სავაჭრო-სამრეწველო შენობაში ან გაყიდის იმგვარ სანოვაგეს ან სხვა რამ საქონელს მათი უვნებლობაც ჯანმთელობისათვის აღნიშნული უნდა იყოს განსაკუთრებულ სავალდებულო რაიმე ნიშნით, ხოლო თუ უკეთუ ასეთი ნიშანი რაიმე უვარგის სანოვაგეზე გაკეთებული იქნება განგებ ამა თუ იმ პირისაგან, დამნაშავენი დაისჯებიან, ერთის თვით ციხეში ჩაჯდომით, ან დაიჯარიმებიან 100 მან.

115_4 მუხლის ძალით, ის პირნი, ვინც დაამზადებს გასასყიდლათ, ან შეინახავს სავაჭრო-სამრეწველო შენობაში, ან გაყიდის ღვინოს, რომელიც შეიცავს გარეშე ნივთიერებას, თუნდაც ჯანმთელობისთვის უვნებელს, რომლის შერევაც ნება დართული არაა ღვინის დაყენების, შენახვისა და გაყიდვის წესების ძალით, ან მიმატებულია დაწესებულ ზომაზე, დამნაშავენი დაჯარიმებულ იქნებიან პირველად 10 მანეთიდან 50 მანეთამდი, ხოლო მეორეთ 50 მანეთიდან 100 მანეთამდი.

115_5 მუხლის ძალით, ის პირნი, ვინც გაყიდის ან შეინახავს სავაჭრო სამრეწველო შენობაში, დაავადებულ ღვინოს რაც კანონით ნება დართული არაა, გარდა ღვინის ჩამორთმევისა პირველად დაჯარიმებულ იქნებიან 10—50 მანეთამდი, ხოლო მეორეთ 50—100 მანეთამდი.

115_6 მუხლის ძალით, ის პირნი, ვინც დაამზადებს გასასყიდათ, ან შეინახავს სავაჭრო სამრეწველო შენობაში და ან გაყიდის წყალგარეულ ყურძნის ღვინოს, ღვინის ჩამორთმევის გარდა, დაჯარიმებულ იქნებიან პირველად 50—200 მანეთამდი და ერთის თვით დაპატიმრებით ხოლო შემდეგ შემთხვევაში კი დაისჯებიან სამის თვით ციხეში ჩაჯდომით და დაჯარიმდებიან 50—200 მანეთამდი.

115_7 მუხ. ძალით ის პირნი, ვინც დაამზადებს გასასყიდათ, ან შეინახავს სავაჭრო სამრეწველო შენობაში ან გაყიდის ყურძნის ღვინოს, რომელსაც ურევია, ღვინის დაყენების, შენახვისა და გაყიდვის მე-9 მუხლის ძალით აკრძალული ნივთიერებანი ან სხვა რომელიმე, ჯანმთელობისათვის მავნე ნივთიერება, თუ უფრო სასტიკათ არ დაისჯებიან, ყოველ შემთხვევაში, ამგვარ ღვინოების ჩამორთმევის გარდა, დაისჯებიან:

პირველად—ფულის ჯარიმით 50 მანეთიდან 200 მანეთამდი და ორ თვემდე დაპატიმრებით, ხოლო შემდეგ შემთხვევებში კი—ფულის ჯარიმით 100 მანეთიდან 300 მანეთამდი და ერთითვიდან სამთვემდი დაპატიმრებით.

115_8 მუხლის ძალით ის პირნი, ვინც არ შეასრულებს კანონის მიერ ან მართველობის მიერ კანონიერ დადგენილს წესებს ე. ი. თუ 1) ჭურჭლებზე, რომელშიც ყურძნის ან ხილეულობის ღვინოსა, შესაფერი წარწერა არ იქნება, რომელიც აღნიშნავს ჭურჭელში მოთავსებულ ღვინის ჯიშსა და მის დაყენების საშუალებას; 2) დამზადება, შენახვა სავაჭრო-სამრეწველო შენობაში და გაყიდვა სამკურნალო და საზედაშე ღვინოებისა უნდა სწარმოებდეს ნაჩვენებ წესით; 3) შენახვა სავაჭრო-სამრეწველო შენობაში, დამზადება და გაყიდვა უნდა ხდებოდეს ისეთი ღვინოებისა, რომელიც თავის შემადგენელ ნაწილებით ნამდვილ ღვინოს წარმოადგენს; 4) ჭაჭისაგან სასმელების („პეტიოს", „პიკეტის" და სხ.) დამზადება უნდა ხდებოდეს შემუშავებულ ახალი წესების მიხედვით და 5) ყურძნის ღვინის დაყენების, შენახვისა და გაყიდვის შესახებ კანონის ტექსტი უნდა გაიკრას თვალსაჩინო ალაგას. ამ წესების დამრღვევნი თუ უფრო სასტიკად არ დაისჯებიან, ყოველ შემთხვევაში დაისჯებიან ერთის თვით ციხეში ჩაჯდომით, ან დაჯარიმებულ იქნებიან ასი მანეთით; თუ ამ მუხლში და აგრეთვე 115^4—115^7 მუხლებში აღნიშნული დანაშაულობანი განმეორდებიან მეორეჯერ ან მეტჯერ სასამართლოს შეუძლია მოუსპოს დამნაშავეს, რათა გამოკიდოს მისსავე სავაჭრო-სამრეწველო შენობაში თვალსაჩინო ალაგას სასამართლოს მიერ დადგენილი განჩინება ერთ წლამდი და აგრეთვე, დამნაშავის ხარჯით, გამოაქვეყნებს ეს განჩინება ერთ-ერთ მთავრობისა და ერთ კერძო დროებით გამოცემაში, სასამართლოს შეხედულებით. წესდება სისხლის სამართლის და გამასწორებელ სასჯელთა შესახებ. 865. 115, 115^2, 115^3, 115^5 და 115^7 მუხლებში აღნიშნულ დებულებათა დარღვევით, თუ ვინმე სიკვდილით დაშავდა, დამნაშავე გარდა თითოეული წესის დარღვევის შესახებ განსაზღვრული სასჯელისა და აგრეთვე ღვინის წარმოება-ვაჭრობის სამუდამოთ აკრძალვის გარდა, დამნაშავენი დაისჯებიან: თუ ქრისტიანია საეკლესიო მონანიებით მათი სასულიერო მთავრობის განკარგულების მიხედვით.

ღია ბარათი ქუთაისურ სტუდენტობას.

ახლანდელმა საერთაშორისო ომმა ცეცხლის ალში გახვია თითქმის მთელი ევროპა და აზია; მან გამოიწვია ღრმა კრიზისი სახელმწიფოების ეკონომიურ ცხოვრებაში. ჩვენი სამშობლოც განიცდის ამ ომის შედეგებს. ხოლო აუწერელია ის მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება ჩვენი თანამოძმე აჭარლები. მათ თითქმის ისეთი ბედი ეწვიათ, როგორიც ხვდა წილად ბელგიელებს და პოლონელებს. დღეს მთელი ქართველი ინტელიგენციის წინაშე სდგას ერთი ინტეგრალური საკითხი აჭარლების დახმარების, ის საკითხი, რომლის შემუშავებაშიაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩვენი ქვეყნის ყველა შეგნებულმა წევრმა.

თფილისის და ქუთაისის საქველმოქმედო კომიტეტი ენერგიულათ მუშაობს. ქართველი სტუდენტობის ვალია შეიტანოს თავისი წვლილი ამ დიად საქმეში. ეს იგრძნო თფილისელმა სტუდენტობამ და შეუდგა მუშაობას. ქუთაისელ სტუდენტობას კი არ დაუწყია მუშაობა, როგორც აღნიშნა ლაკუნიანმა „სამშობლოს" 72-ე ნუმერში. 6 მაისს შაბათს მრეწველთა საბჭოში მოხდა საქველმოქმედო კომიტეტის კრება. კრებაზე გამოთქვეს შემდეგი აზრი: საჭიროა რაც შეიძლება მეტმა ელემენტებმა მიიღონ მონაწილეობა აჭარლების დახმარების საქმეში. ბ-ნ გრიგოლ გველესიანმა აღნიშნა ის, რომ ქუთაისურ სტუდენტობას ჯერ ჯერობით არ დაუწყია მუშაობა, იგი გულგრილად უცქერის აჭ. დახმარების საქმეს. ქუთ. ზოგიერთ სტუდენტს კარგა ხანია დაებადა ეს აზრი აჭ. დახმარებისა, მაგრამ მის განხორციელებას ხელი შეუშალა სხვა და სხვა მათგან დამოუკიდებელმა მიზეზმა.

ვინაიდან კომიტეტმა გადასწყვიტა იშუამდგომლოს გუბერნატორის წინაშე, რათა მან ნება დართოს ქუთაისურ სტუდენტობას აჭარლების დახმარების შესახებ მოილაპარაკონ, ჩვენ ქუთაისური სტუდენტები, იმედია, [illegible] ვით და საერთო [illegible] იმ საშუალებით, რომლითაც შეიძლოა აჭარლებს როგორც მატერიალური ისე ზნეობრივი დახმარება აღმოუჩინოთ.

სტ. აბელონ გაბუნია.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ამ პატარა წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ახლო მომავალში.

გაზ. „Закавказ. Рѣчь"-ში (№ 86) მოთავსებული არის ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წლიური კრების ანგარიში, სადაც, სხვათა შორის, სწერს ცნობილი ქუთაისელი კორესპონდენტი „Макавели", რომ, ვითომც **„ჩემი წინადადებით"** გადაწყვეტილ კრებას, რომ თავ. ნ. დ. ერისთავს გამგეობის თავმჯდომარეს, გამოეცხადოს მადლობა მისი შრომისათვის ბანკში, მიეცეს მას ერთდროულად 2000 მან. და ბანკის სადგომში დაკიდოს მისი სურათი! სწორეთ გასაკვირველი არის, რომ ამისთანა პატარა კრებაზე რაც მოხდება, მისი აღნუსხვა სამძიმო არის ზოგიერთებისათვის. მე უნდა აღვიარო, რომ ეს წინადადება არ შემიტანია და ფიქრადაც არ მომსვლია. თავ. ნ. დ. ერისთავის დაჯილდოვების წინადადება შემოიტანა ბანკის რჩევამ, მხოლოდ ზემო აღნიშნული წინადადება კი შეიტანა საზოგადო კრებაზე ყოვლად ცნობილმა ბ. დათიკო ქებაძემ და, წინააღმდეგ რჩევის წინადადებისა, საზოგადო კრებამაც მიიღო. მე პირადად საზოგადოებას მივეცი წინადადება, რომ ბანკის მოსამსახურეებისათვის, ვინაიდგან მათ წელს ჯამაგირები არ მოუმატეს, აღმოჩენილ იქნას დახმარება ამ წლის გათავებამდე ან იმათ გათავებამდე და მომატებით [illegible] არსებულ ჯამაგირზე 10%. ეს ჩემი წინადადება შეადგენდა სულ არა უმეტეს 400—500 მანეთისა, მაგრამ საზოგადოებამ წინადადების კარგათ გაგონება არ მოისურვა და ჩემმა წინადადებამ არათუ საზოგადოებაში ვერ მოიპოვა თანაგრძნობა, არამედ [illegible] კი ხმა არ ამოიღო. ნუთუ საზოგადოებამ არ უნდა იზრუნოს იმ წვრილ მოხელეებისათვის, რომლებიც მთ მუყაითად და ბეჯითად ემსახურებიან? ჩემი წინადადების უარყოფის შემდეგ, განა მე ჩემ თავს მივცემდი უფლებას, რომ ორი და სამი ათასის მიცემის წინადადება შემეტანა საზოგადოებაში? არა ბატონებო, მე არც წინადადება შემიტანია და არც მხარი დამიჭერია წინადადებისათვის, მხოლოდ, როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდა, თუ რა რიგით და წესით მიეცეს ბ. ერისთავისათვის 3000 მან. ერთდროულად, თუ სამი წლის განმავლობაში, მე მაშინდა საზოგადოებისათვის მომეხსენებია ჩემი აზრი შესახებ მიცემის წესისა და შევეხე თუ არა საკითხს, როგორც გადაწყვეტილს, რამდენიმე საზოგადოების წევრმა ხმაურობა ასტეხა [illegible], „ვინ გადაწყვიტა, ჩვენ არ გადაგვიწყვეტია" და მეც დავანებე თავი ლაპარაკს. ეხლა მაინც გაიგებს ბ. Макавели, რომ მე ბ. ერისთავის ფულების მიცემაზე არც მელაპარაკნია და არც მხარი დამიჭერია, და თუ შეიძლებოდეს ბ. ქებაძეს ნამოქმედარს სხვას ნუ მიაწერს, თორემ ბ. ქებაძეს ეწყინება.

დავშთები პატივისცემით

ი. პურადაშვილი.

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

თ. მთავრიშვილის და ამხ.
წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ
გამოვიდა
„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер." ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.
იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო „გაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია", შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

გამოვიდა და იყიდება
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში
თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.
ფასი 60 კაპ. წ.

---

*) აქამდისაც რომ ეფიქრა ეს ქუთაისის „საეთნოგრაფიო საისტორიო საზოგადოებას" ძლიერ კარგს იზამდა...

რედ.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სწრაფ-ბეჭდავი სტამბა **ა. ი. ძოხრეიძისა**—ქუთაისში.